ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ41. 4122363001**

თარიღი:**29/12/2022**

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2022 წლის 14 დეკემბერს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ №40-402234894 მომართვაზე (სარეგისტრაციო №12-41223488-41) - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინსტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცების თაობაზე“ - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიურლი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დღის წესრიგის შესაბამისად განხილულ იქნა საკითხი - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2022 წლის 14 დეკემბერს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ №40-402234894 მომართვაზე (სარეგისტრაციო №12-41223488-41) - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინსტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცების თაობაზე“ - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიურლი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 106^1 მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილის, 106^2 მუხლის მე-3 ნაწილის, 106^5 მუხლის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 15 დეკემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულ იქნეს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოება პროექტზე - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინსტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცების თაობაზე“.

2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე გამოქვეყნდეს ცნობა - ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

3. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს 2023 წლის 15 იანვრამდე.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებული მოსაზრების წარდგენის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 26 დეკემბრამდე.

5. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინსტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცების თაობაზე“ - დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეცეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას.

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს – ვეფხვია რუსიას.

ქ.სენაკი,4100 შ.რუსთაველის ქ. №243 , ტელ: 0413 27 60 60, 27 50 16
ელ-ფოსტა: SAKREBULO.SENAKI@GMAIL.COM ვებ: WWW.SENAKI-SAKREBULO.GOV.GE

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი